

23 ნოემბერს ვითრუნება აღინიშნება - მისი მადლით ფარავდეს სრულიად საქართველო!

"მე შენ მიყვარდი, შენ მნათი, შენ გემსახურებოდი, როგორც შენველო..."

# ნიკოლაის გზით



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 11 (265) 27 ნოემბერი ორშაბათი, 2017 წელი; ფასი 1 ლ.

## ფოთელეზა ქალაქის მართვა სრულიად ახალგაზრდა კაცს - გოჩა კურდღელიანს ანდეს



ღამე, იყოს განაცხადების, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ცხოვრების აღმავლობის ფლები აბ დაგაუიწყდეთ ამბმბჩიყული, იყაუთ ხალხთან, იგი ყუულაბე უყუთესი მბჩიყულია  
მმ-3-გგ

## საქართველოს საგარეო ქალაქი

ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები დააბრძანეს

ფოთის საკათედრო ტაძარში ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები დააბრძანეს.



ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა **გრიგოლმა** საკათედრო ტაძარში სადღესასწაულო ღოცვა აღავლინა.


ღუსკუმა წმინდა ნაწილებით ტაძარში 12 ნოემბრამდე იყო დასვენებული და მრევლს მოლოცვის საშუალება ჰქონდა.  
მმ-2-გგ.

## ფოთის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა

ირაკლი კაკულია, მოადგილედ - აკაკი ღარჯანიძე



ბახსოვდეთ, ქადაგი ხითა და ყვადან ხითა ვიხეხნოთ მის ბანვითახებაზე ფოთს უამრავი პრობლემა დაუგროვდა. დიდი პასუხისმგებლობა ასეთ დროს ქალაქის ხელმძღვანელობა. საკრებულოს თავმჯდომარედ და მოადგილედ აირჩიეს ექსპერტები, რომლებსაც ქალაქის მართვის გამოცდილება აქვთ - პრობლემების გააზრებით, საერთო საქმის გულშემატკივრობით, მოსახლეობასთან კომუნიკაციულ ურობითა და პუმანურობით.



ქალაქის ზღვისკენ შემობრუნება, ტურისტული პოტენციალის აღდგენა - მალთაყვის ზღვისპირა ზოლის მშენებლობა ამ გუნდის მონდომებით დაიწყო. ფოთი უნდა გახდეს საქართველოს ეკონომიკური და კულტურული - ტურისტული ცენტრი - წარმატებებს ვუსურვებთ ამ მიზნის განხორციელებაში.

## პანაშვილი საქართველოში გაქარაღი

სრულიად საქართველომ, და მათ შორის ფოთის საზოგადოებამ ძალიან განიცადა ტერორისტებთან ბრძოლაში დადუპული სპეცრაზმელის ივანე გოლაშვილის დადუპვა. ამ გმირულ მაგალითზე თაობები გაიზრდებიან და საქმით დაამტკიცებენ სამშობლოსადმი უსახდვრო სიყვარულს.

ფოთის მერია-საკრებულოს ხელმძღვანელებმა, თანამშრომლებმა ფოთელებთან ერთად მოაწყვეს სამგლოვიარო მსვლელობა დვითისმშობლის შობის ტაძრამდე, სადაც გმირულად დადუპული სპეცრაზმელის ივანე გოლაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი პანაშვიდი გადაიხადა საკათედრო ტაძრის მოძღვარმა, დეკანოზმა კონსტანტინე ბურჯანაძემ.

## ინფორმაცია

„ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემია ბატონი გოჩა კურდღელიანს არჩეულია „ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტის ფუნქციას, აკადემიკოსად. „ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი ნუგზარ ნადარაია 14 ოქტომბერი, სვეტიცხოვლობა ბატონ გოჩა კურდღელიანს მოფოზაზი გადასცა „ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად, ბატონმა გარონტი კუსალაიშვილმა



## გამოვიდა ახალი ნიგნი ჭაბუკი ქოიავა „კუნძული სოხუმი“



მმ-5-გგ.



„ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის შემოწირულობა ფოთის საკათედრო ტაძარში „ჩვენთან არის დემეთი, უფალი იესო ქრისტე, არის და იყოს ან და მარტის და უკუნითი უკუნიხამდე! ამინ!“

## ფოთის №70 საარჩევნო ოლქის საბოლოო მონაცემები

- ფოთის მერობის კანდიდატები
- ვახტანგ დარცმელიძე №2 - 13,36%
- ოთარ ხარჩილაძე №3 - 8,24%
- მაკა ჯინჯოლია №5 - 12,81%
- მანია ჩხარტიშვილი №8 - 9,31%
- ინგა ჭანტურიანი №27 - 0,53%
- თენგიზ სოფერიანი 39 - 0,6%
- გოჩა კურდღელიანი №41 - 55,14%

ფაქტები მუხიჯ-ცაუხ-სვანუხ ბოქონიძეების მუნახაზ ინტორიკოს თაეაზ ლასაბიქანს, ფილოლოგიის მუნახიარებათა დოქტორს მურად მთვარალიქანს, /ერთი მქოს მუნახაზმ/ მმ-7-გგ.

„ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიამ ახლადარჩეულ თვითმმართველობას დიდი ნიკო ნიკოლაის ცხოვრება და მოღვაწეობა შეასხენა ლოგონ ავლია ქვეყანას უღმობელი საქმის კაცი, ლომელმაც დროს ხაუკუნით გაუხნლო მმ-4-გგ.



სპორტი რაბგუნი საქართველოს ნაკრებმა აუშ-ს ნაკრები 21:20 დაამარცხა მმ-8-გგ.





ფოტოაღება ქალაქის მართვა სრულიად ახალგაზრდა კაცს - გოჩა კურდღელიანს ანდვს

ღამე, იყოს განაცხადების, მკონომიკური და სოციალურ-კულტურული ცხოვრების აღმავლობის ფლგები

ად რეგაიციყრეთ ამბმბრეყელი, იყავით სალსთან, იგი ყყელაზე უყეთესი ბმბრეყელია



30 წლიანი ქართული დემოკრატიით დაღლილი ამომრჩეველი კიდევ ერთხელ იღებს გადაწყვეტილებას: თვალწინა პოლიტიკური პანორამა, არჩეული და არარჩეული პარტიები, მაჟორიტარები და მერობის კანდიდატები.

მთავარია, საკრებულოში ერთ პარტიულობა ავიცილოთ და იგი საკმაოდ ჭრელია, იმედია, იქნება ახრთა სხვადასხვაობა, წინააღმდეგობები, სქმიანი კრიტიკა, თუმცა, არის საკითხები, სადაც ერთსულოვნება და ურთიერთთანადგომია საჭირო, როცა საქმე ქალაქს და მის ინტერესებს ეხება, სწორედ ასეთი პოზიციების არქონამ დააკარგვინა ნავსადგური ქალაქს, ქვეყანას-სახლდგო კარბიჭყ-ფანჯარა ევროპისაკენ, რომელიც თავის დროზე დიდმა ნიკო ნიკოლაძემ გაჭრა.

ხალხის ნდობას უნდა გაუფრთხილდეთ, იგი ბევრჯერ გააწბილეს, მოატყუეს. მიზანი ხალხის ძალაუფლების გამოყენება და მხოლოდ თანამდებობები არ უნდა იყოს, ძალა და უფლებები ერთმანეთს ავსებს და ხალხმა უნდა იგრძნოს მისივე ძალის სიკეთე, მერია-საკრებულო პირადი კეთილდღეობის სამსახურად გადააქციეს და ბევრი რამ იხერციით მოდის დღემდე.

თვითმმართველობა ჯერ კიდევ ნიკო ნიკოლაძის დროს ჰქონდა ქალაქს და ის უნდა იყოს ორიენტირი. მეფის რუსეთის დროს შენდებოდა ქალაქი, პორტი, რომელსაც ჰქონდა დიდი შემოსავლები. დღეს კიდევ არაფერ იცის რას აძლევს პორტი ქალაქს, სააკაშვილის ხელისუფლებამ და უნიათო საკრებულომ-ცენტრს რომ უსიტყვოდ ემორჩილებოდა, ცუდ დღეში ჩააგდო ფოთი. იგი თითქმის უფუნქციოდ დარჩა. ფოთი და ნავსადგური ადარ არის ერთიანი ინტეგრირებული ორგანიზმები, არადა ერთ დროს ამ პატარა ქალაქში თითქმის ყველა დარგო იყო განვითარებული-საოკეანოთევზჭერიდან გემთმშენებლობამდე. პატრონი და გულშემატიკივარი სჭირდება ყველაფერს, ხალხი, ფოთელები უნდა გახდეს პატრონი, რომლებმაც პასუხი უნდა მოსთხოვოს ხელისუფლებას დაპირებების შესრულებისათვის. სამწუხაროდ, ხალხი მერე არაფერ არ ახსენებდა. იშვიათად თუ ჩააბარებდა ანგარიშს, გაკეთებულისა და გასაკეთებელზე. ეს კავშირი არ უნდა გაწყდეს და ქალაქი აკვარეუმს არ უნდა დაემგვანოს, როცა თევზჭერით პირს ვაღებთ და არ გვესმის ერთმანეთის.

როცა ძლიერი თვითმმართველობა - ეს პირველ რიგში ეკონომიკური და ფინანსური დამოკიდებულებაა. რას აძლევს ქალაქი ქვეყანას, მათ შორის ნავსადგური და რა რჩება მას, არადა, მძიმე სურათია საპორტო ქალაქის ბიუჯეტი 12 მილიონამდე დაკლება. პარადოქსია მართლაც, ფოთს აქვს ეკონომიკური პოტენციალი, ის ხომ ერთ დროს ქვეყანის ეკონომიკის ლოკომოტივი იყო, თუ ეს შეუძლებლობა არ აღმოიფხვრა და ვერ გავარკვიეთ ცენტრთან ურთიერთობა, თვითმმართველობა უფუნქციოდ დარჩება. სხვათაშორის ყველაფერი ფედერალური სამსახურების ხელშია და მუნიციპალიტეტს თითქმის არაფერი რჩება. სათქმელია ისიც, რომ არცერთ საკვანძო თანამდებობაზე ფოთელი არ იყო და ფინანსური ბერკეტი მავანთ ჰქონდათ. ვითარება თითქოს სწორდება, მაგრამ არც თუ სახარბიელოდ.

ყოველი სახელისუფლებო ცვლილება არ უნდა იყოს ნეპოტიზმით გაჯერებული შურისძიების საბაზი, ადამიანებს არ უნდა ეშინოდეს, სამსახურის დაკარგვის, მით უფრო პროფესიონალებს, კრიტიკიში უნდა იყოს ნიჭიერება, გულმოდგინება, მოვალეობის გრძობა, არა აქვს მნიშვნელობა, ვინ და რა რჯულის კაცი იქნება. ახალბედი თუ შორეული, ქალაქი უნდა გვაერთიანებდეს ყველას, იგი ჩვენი საერთო საცხოვრისია, ჩვენი სიამაყეა, ყოველდღე რაღაც უნდა შევმატოთ მაგრამ, მთავარი მაინც ადამიანია. კაცს უნდა დაედგომებოდეს, უნდა ეცხოვრებოდეს, ესაა თავისუფლებაც და დემოკრატიულობაც, უქონელი, ღარიბი კაცი რა თავისუფალია, არადა, დაიტანჯა ბევრი, საზღვარგარეთ გარბიან დამამცირებელ სამუშაოებზე, ისინი ჩვენი სისხლი და ჯიშია, ეს უნდა გვაწუხებდეს, სადა ყავს საქართველოს დასაკარგი შვილები.

არჩევნებში გამარჯვება მოხალციცია, მაგრამ ეს ხალხის გამარჯვება უნდა იყოს, დემოკრატიის არც თუ დიდი გამოცდილება გვაქვს და საბედისწერო გაკვეთილებიც სახეზეა - რა უქნეს ქვეყანას დემოკრატიის ნიღბით „ნაცებმა“. ამიტომ დაკარგეს რწმენა ადამიანებმა, - ნატეხილი ხიდი უნდა აღადგინოთ, ხალხს ვეთათბიროთ, ჭკუა დავეკითხოთ, მასზე დიდი მრჩეველი არაფერ გვეყოლება.

როგორც დიდი ვაჟა იტყობა „ჩვენი უბედურება ისაა, რომ ცოტა გვეყვანან მდიდრები.“ სიღარიბე ხომ პატარა ჯვარცმია, ქვიშიანი სახეები გვიანდა დავიანხოთ ქალაქში, მისი გაახალგაზრდავებისათვის ბევრი რამეა გასაკეთებელი. მარტო თბილისი არ უნდა იყოს სიცოცხლით სავსე ქალაქი, დედაქალაქის სიძლიერის წყარო ძლიერი რეგიონია.

უნდა გავმართოთ შეჯობი საუკეთესო იდეებისათვის ქალაქის განვითარებაზე, ჩვერთო მსსს ახალგაზრდობა, ნურც ტრადიციებს დავივიწყებთ, თუ რა იყო და რა არის ჩვერთვის ფოთელობა-კაცობა, სიყვარული, მეგობრობა და პატივისცემა. ფოთი უნდა იყოს იმედის, სიხარულის და ბენიერების ქალაქი. დიდი ეკონომიკით, კულტურით, გართობის და დახვეწების კერებით, ტრანსპორტით, ეკოლოგიით, იმ სიახლეებით, რითაც გამოირჩევა ევროპა.

უნდა გარდაიქმნას საკრებულოს საქმიანობა, მოქალაქეები უნდა მონაწილეობდნენ მის მუშაობაში, განსაკუთრებით ბიუჯეტის ფორმირებაში. ახალი პროექტების განხილვაში. ქალაქის მმართველობის ძალისხმევით უნდა ხდებოდეს, მერია-საკრებულოს ფუნქციების გამოჯენაც აუცილებელია, ასევე უნდა გაირკვეს ქონებრივი მდგომარეობა, რა ეკუთვნის ცენტრს და რა კმუთვნის ქალაქს. ფოთს აწუხებს მარადიული პრობლემები, ზღვის ნაპირდაცვა, პალიასტომი, კანალიზაცია, იტბორება ქალაქი და ა.შ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საჯაროობას, მერია-საკრებულოს საქმიანობას, განსაკუთრებით პრესა-ტელევიზიით, რათა მეტი იყოს მოქალაქეთა ჩართულობა საჭირობოტორტე საკითხების განხილვაში, პრობლემების გადაჭრაში, როგორც ადვნიშნით, ნიკოლაძის ქალაქს დიდი ტრადიციები აქვს და მისი შესწავლა დიდად წაადგება საქმეს, რამეთუ ეს დიდი სახელმწიფო-საზოგადო მოღვაწე საუკუნით უსწრებდა ეპოქას და ფოთში ბევრი რამ დარჩა განუხორციელებელი.

ჩვენი გახეთის ამ ნომერში ვთავაზობთ, მართლაც უღმობელი საქმის კაცის წერილებს, პუბლიკაციებს, სტატიებს, რომლებიც თითქოს დღევანდელობას ეხება, და კვლავაც იქნება გასაკვეთი.

დაე, იმუშავეთ, იღვაწეთ, ისე რომ თქვენც შეგეძლოთ გაიმეოროთ დიდი ნიკოლაძის სიტყვები: „მე შენ მწამდი, შენ მიყვარდი, შენ გემსახურე როგორც შემძღოლ“.

გვჯერა სრულიად ახალგაზრდა კაცი, გოჩა კურდღელია ფოთელების თანადგომით შეძლებს ბევრი სასიკეთო საქმის კეთებას ქალაქის სწრაფი განვითარებისათვის, და წარმატებული ბიზნესმენი პოლიტიკურ ასპარეზზეც გამოიჩენს თავს.

ვუსურვოთ გამძლეობა მხნეობა, სიმტკიცე და წინსვლა...

ორიწინიარ დაინსახეთ ფოთის სტრატეგიული ფუნქციის აღდგენა, რომოს ეპრაზიის ფორფოსტისა ფოთის სახეხბეჯილ ნეჰიხბელ ჰიჩეჯნი ჰიჩან:

21 ოქტომბერს, საქართველოში ჩატარებულ აღმშენებლის თვითმმართველობის არჩევნებში, ფოთის №70-ე საოლქო კომისიის მონაცემებით ფოთის საკრებულოს შემრამი გახლდნენ:

- პროკორციული სისტემიტი: ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოდან: ირაკლი კაკულია, ნინო კაკუშაძე, თამარ თოფურია, აკაკი ღარჯანი, ხვიჩა ცხვიტარია, ზურაბ ჩანუა, ჯემალ მიხინიფიშვილი, პაპარი მრამია
- საარჩევნო ბლოკი - პაქრამი, უბუღაპა-მეროკული საქართველოდან: ვახტანგ ღარციფილია
- საარჩევნო ბლოკი - დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუპავა, დემოკრატიული მოძრაობა თავისუფალი საქართველოდან: ოთარ ხარჩილაძა
- მრთიანი ნაციონალური მოძრაობიდან: ღათო სომერიკი, ღარმჯან ცხვიტარია
- ღავით თარხან-მოურავი, ირაკი ინაფილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსიდან: მანა ჩხარტიფილი
- შალვა ნათელაფილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტიიდან: მამუკა სორავა
- შენების მოძრაობიდან: იაგორ თავართიფლაძე
- მაშორიტარული სისტემიტი: „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-დან: ღავით მხუბა, აკალონ ზაფაავა, თორნიკე შონია, ღავით კვიციანი, ოლგა ნაჭყვია, ზემა ვაჭარამი, ზვიად ღვამუაძე, თორნიკე პირთაძე, მალსაზ ფორხუა, სამსონ კუტალია

ფოთის ახალარჩეული მერი გოჩა კურდღელია უფლებამოსილების შესრულებას 13 ნოემბრიდან ოფიციალურად შეუდგა.



ფოთის ახალარჩეული მერი გოჩა კურდღელია უფლებამოსილების შესრულებას 13 ნოემბრიდან ოფიციალურად შეუდგა.

„კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს თანაქალაქელებს იმ ნდობისთვის, რომელიც მათ გამომიცხადეს. ამ ეტაპზე ყველაზე პრიორიტეტული ქალაქის ბიუჯეტის სწორად დაგეგმვაა. 2018 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტების სწორ შერჩევაზე დამოკიდებული ყველა

ის პროექტი, რომლის განხორციელებასაც მოსახლეობა ითხოვს ჩვენგან“. - განაცხადა ქალაქის მერმა.

გოჩა კურდღელიამ 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებში ფოთელი ამომრჩეველის ხმათა 55.14% პროცენტი მიიღო.

გოჩა კურდღელია 1965 წლის 24 ივლისს ფოთში დაიბადა, 1990 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ინჟინერ-ეკონომისტის სპეციალობით.

ამავე წელს დაიწყო მუშაობა სენაკის პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელში ჯერ სასწავლო საწარმო ოსტატად, შემდეგ ბუღალტრული აღრიცხვის პედაგოგად.

1992 წელს ქალაქ ფოთის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურში ტექნიკოსია, 1994-1997 წლებში კი საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის სატვირთო განყოფილების უფროსი, 1997 წლიდან ეწევა ბიზნესსაქმიანობას.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა კურდღელიამ უპოვართა სასადილო მონახულა და იქ არსებულ პირობებს გაეცნო.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა კურდღელიამ უპოვართა სასადილო მონახულა და იქ არსებულ პირობებს გაეცნო. ფოთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან უპოვართა სასადილოსთვის, პროგრამის მიხედვით, 230 000 ლარია განსაზღვრული, სადაც ყოველდღიურად 230 ბენეფიციარი იკვებება, 25 სოციალურად დაუცველს კი სადილი სახლებში ეგზავნებათ. ქალაქის მერის განცხადებით, ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა ფოთის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც პროგრამებსა და სამომავლო გეგმებში ნათლად აისახება. „2012 წლის შემდეგ, სოციალური



პროგრამების რაოდენობა ფოთში საგრძობლად გაიზარდა. ჯერ კიდევ რჩება ბევრი ოჯახი, რომელსაც ჩვენი მხარდაჭერა სჭირდება, ამიტომ სოციალური და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამები აუცილებლად გაგრძელდება და მეტად განვითარდება“-განაცხადა გოჩა კურდღელიამ.

გამფვანების აქცია ნიკოლაის სანაპიროზე



არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა რეფორმატორთა ასოციაციის“ ინიციატივით და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით გამფვანების აქცია მოეწყო, რომელშიც ქალაქის მერმა გოჩა კურდღელიამ, მერის მოადგილეებმა

მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა და საჯარო სკოლების მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა. აქციის ფარგლებში, ნიკოლაის სანაპიროზე 50 ძირი კიპარისის ხე და 35 ძირი მარადმწვანე ბუჩქი დაირგო. „ფოთელი სტუდენტების მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა რეფორმატორთა ასოციაციის“ ორგანიზებით შეკე მესამე წელია ქალაქის სხვადასხვა ტერიტორიაზე გამფვანების აქცია ტარდება. მინდა მადლობა ვუთხრა ამ ახალგაზრდებს. ჩვენ, ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ გვექონდეს გამფვანებული და ეკოლოგიურად სუფთა ქალაქი“-განაცხადა გოჩა კურდღელიამ.

# „ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემია ახლადარჩეულ თვითმმართველობას დიდი ნიკოლაის ცხოვრება და მოღვაწეობა უმასხენა წიგნით აკლია ქვეყნის უღმრთესი საქმის ჯაცი, რომელმაც დროს საუკუნით გაუხსნა



თიბის მოგვარე, ახლოვლება და მე-გობარმა უკრონ შუბითიქემ.  
გთავაზობთ წერილებს ვაჟა შუბით-თიბის წიგნიდან „ნიკო ნიკოლაძე“.

\*\*\*\*\*

## ნიკო ნიკოლაის უხედავება-ნი პოლიტიკურ კარტიზმსა და ლიდერებაში

პოლიტიკაში მთავარია ენერჯია, როგორც მოქმედების გეგმის შე-სადგენად, ისე მისი განხორციელებ-ისათვის. ენერჯია კი, ცნობილია, ძნელად შესანახია, მაგრამ ადვილად გასანიაგებელი. ადამიანზე საჭიროა იმსჯელო არა მისი განზრახვისა და მისწრაფების მიხედვით, არამედ შედეგებით. (ნიკო ნიკოლაძე) ნიკო ნიკოლაძეს, რომელიც მიხვეული იყო „მსოფლიო მასშტაბით აზროვნებას“ (გ. ქიქოძე), ძალზე საინტერესო შე-ხედულებები აქვს გამოქმედებული პოლიტიკურ პარტიებსა და ლიდერ-ებზე, მათ როლზე საზოგადოება-ში, მათ ნაკლოვანებებსა და სისუს-ტეებზე. ევროპაში სწავლისა და იქ არცთუ ხანმოკლე მოღვაწეობის პერიოდში ნიკოლაძემ კარგად ჩაი-ხედა ევროპის და, მაშინ ყველაზე მოწინავე ქვეყნის, საფრანგეთის პო-ლიტიკურ ცხოვრებაში.

საქართველოში ჩამოსულმა და აქაური რეალობის შემხედვარე ნიკომ უმაღლესი შეამჩნია მთელი რიგი განსხვავებები ევროპულ და რუსულ პოლიტიკურ სისტემებს შორის (სა-დაც შედიოდა საქართველო იმუ-ლებით). პირველი თვალშისაცემი სხვაობა იყო ის, რომ საფრანგეთში ჰყვაროდა თავისუფალი აზრი, სხვა-დასხვა საწინააღმდეგო შეხედულებ-ანი და ქმედებანი, ჩვენთან კი „ის ნაკლოვანება გვჭირს, რომ თი-თოეულს ჩვენგანს უნდა, რომ ყვე-ლა დანარჩენი მისივე კალაპოტზე ჩამოსხმული იყოს, მისივე ხასია-თი ჰქონდეს, მასსავე ფიქრობდეს, ყველაფერზე და ყველაფერში მის მსგავსად მოქმედებდეს. ეს შეუძ-ლებელი და უსარგებლო, თითქმის-საუნებელი, საქმეა“ - ანუ ადგილ-და აქონდა განსხვავებული აზრის მოუთმენლობას და მისადმი უპა-ტივიტეზულობას, რასაც პირდაპირ მიყვარდა ავტორიტარიზმისაკენ. თუ განსხვავებული აზრები უნდა იყოს, მაშინ ლოგიკურად, საზოგა-დოებაც სხვადასხვა პარტიების-გან უნდა შედგებოდეს და არა ერთი პარტიისაგან, თუნდაც ქვეყანა დაპყრობილი იყოს და დამოუკიდებ-ლობისათვის იბრძოდეს. ეს საჭი-როა სადი აზრის გასამარჯვებლად, თორემ მთავარ, ეროვნულ საკითხებ-ში ყველა პარტიის წარმომადგენლებ-ი ერთი აზრის უნდა იყვნენ - მი-ანხდა ნიკოს: „განა ამ სტრიქონების დამწერს ყველაფერში ეთანხმე-ბა, მაგალითად, გ. წერეთელს, ილ. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს ან ს. მესხს? - წერდა იგი, - ან განა ესე-ნი ყველაფერში ეთანხმებიან იმას? არა, ზოგიერთ საქმეში, ზოგიერთ კითხვებზე ჩვენ სხვადასხვა აზრისა ვართ, მაგრამ ჩვენ საზოგადო მიზა-ნი ყველას ერთი და იგივე გვაქვს და უნდა გვექონდეს. ამ საზოგადო მიზანს ჩვენ ყველანი, ჩვენი ძალი-სა და ცოდნის მიხედვით, ერთგუ-ლად ვემსახურებით და თუ წერილ-მან აზრებში, წერილმან საგნებზე, ან შემთხვევებზე, ერთმანეთის პა-ტივიტეზულობის შეწყვეტის ნებას არ გვაძლევს და ერთმანეთში ბრძოლას როდი გვაწვევინებს. ასეა ყველგან, ყოველ შრომაში, უიმისოდ შრომა და ერთად საქმის წაყვანა შეუძ-ლებელია“. ნიკო ნიკოლაძე პარტი-ების, სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების დაარსებას აუცილებლად თვლიდა იმის გამოც, რომ ძალა ერ-თობაშია, თანამოაზრე ადამიანთა გაერთიანებული მცდელობა რაღა-ცა შედეგის მომტანია, მარტო კაცი, თუნდა ილია ჭავჭავაძე-ვერსაფერს მი-აღწევს: „კერძო პირი ცხოვრებაში უბრალო პაიკია, რომელსაც ისტო-რიული ძალა და ჩარხი ატრიალებს ან ათამაშებს. ათასიც რომ იბტუ-ნაოს ამ პაიკმა, ათასიც რომ თა-

ვის ნებით გაიწიოს, ქვეყნის ჩარხის გრუნვა მას მაინც უპოვის თავის ადგილს და თავის ნებაზე დაატრი-ალებს. მართალია კაცის გონიერე-ბასაც ბევრი შეუძლია ამ საქმეში, მაგრამ ეს ბევრის შეძლება მარტო იმაში მდგომარეობს, რომ ზოგი პაი-კი გაიგებს, რა ძალა ათამაშებს მას, და ამ ძალით ისარგებლებს, ამ ძა-ლას დაეხმარება; ზოგი კი ამას ვერ მიხვდება და ბრძოლაში თავს გა-აღსვენებს ან მთელ თავის ღონეს ამ ძალასთან შეუფერებელ ბრძოლაში დაღვეს... ეს უნდა გვახსოვდეს კარ-გად, მეტადრე იმიტომ, რომ ჩვენში ზოგიერთ ემაწვილთაგანს ჰკონია, რომ ქვეყნის ისტორია მით იწყება-და მითვე გათავადებალ“. ნიკოლაძე ასევე კატეგორიულად მიუღებლად თვლის ბელადობას, რომელიც ვერ ეგუება განსხვავებულ აზრს და ქმედებებს, შეწინააღმდეგებს და ა.შ.: „აზრების სიუხვეს შედარე-ბას, წინააღმდეგობას არ ვითმენთ, ცოდვით ვთვლით, ვდევნით; გვერდია საჭირო დისციპლინა ჩვენში მარ-ტო მაშინ დაარსდება, როცა ჩვენი ქვეყნის შვილები თვალ ახვეულად ერთს მოთავეს გაეყვიან... ამას ვეძებთ და საჭირო დისციპლინას კი ვერ ვახერხებთ, ვერ ვაწყოთ. განა ეს უბედურება არ არის? შესაბა-მისად ნიკოლაძეს შეუწყნარებლად მიანხია ბრმა მორჩილება და ბრმა დისციპლინა, რომელიც თანამედ-ობის ან ფულიანი პირის, ყალბი ავტორიტეტების მიმართ ბრმა და ინერციით მომდინარე ნდობაზეა და-ფუძნებული: „დღესაც ბევრ ალბას მინახავს, რომ დიდი ჩინით ან დიდი სიმდიდრით ადჭურვილს კაცს, გონე-ბით კი ღარიბს და ხასიათით სუსტს, უშველებელი ხმა დაგავლენა ჰქონ-დეს საზოგადოებაში. ათასი და ათი ათასი უჯერის მას, და იმას კი არა-ვინ კითხულობს, მართლა ჭკუისათ-ვის ანპატიოსნებისათვის მისცეს ეს ჩინი, მართლა ჭკუთა და პატიოსნე-ბით მოიგო ეს გავლენა?“

„ევროპულ საზოგადოებაში, - თვლიდა ნიკოლაძე, - ასე იოლად ავტორიტეტს ძნელად თუ ვინმე მოიხვეჭს. ევროპულთათვის მათი პოლიტიკური ლიდერები (ბელა-დები) ახლო ნაცნობნი არიან ჯერ კიდევ ბევრად ადრე მათ განდი-დებამდე. ისინი იძულებული არი-ან სახელი და ნდობა ნაბიჯ-ნა-ბიჯ მოიპოვონ და მხოლოდ მათი ნიჭის, იდეალებისა და ხასიათების საერთოდ აღიარებული უპირატესო-ბა უქმნით შესაძლებლობას ხელი მოჰკიდონ მმართველობის საჭეს. ნიკოლაძის თქმით, სახელის მოხვე-ჭისაკენ რომ გზა გაიკაფონ და თა-ნამამამულთა ნდობა დაიმსახურონ, ისინი აუცილებლად უნდა ეხმიან-ებოდნენ თითქმის ყველა იმ სა-კითხს, რაც მათს თანამედროვეებს აღელვებდა; მათთვის აუცილებელია, შთაბეჭდილება მოახდინონ ხალხის გონებასა და გრძნობაზე თავიანთი შეხედულებების ორიგინალობითა და სიღრმით, თავიანთი გადაწყვე-ტილებათა სისწორითა და აზრი-ანობით. ასეთი ამოცანა ადვილი გადასაწყვეტი არაა იმ ქვეყნებში, სადაც ყველასთვის ერთნაირადაა გადებული კრიტიკისა და მოღვაწე-ობის სარბივების კარი და სადაც საჯარო, საზოგადოებრივი მსჯელო-ბა დღის წესრიგში მდგომი საკით-ხების ირგვლივ სახელმწიფოს ყვე-ლა უნარის მქონე და მოხერხებულნი ძალების თავისუფალ და შეუზღუდ-ველ მეტოქეობას ქმნიან. ასეთ დროს, - წერს ნიკოლაძე, - ადამიანს სრუ-ლიად განსხვავებული ნიჭი და ნე-ბისყოფა უნდა გააჩნდეს, რომ ასეთი ბრძოლა გადაიტანოს და ზედაპირ-ზე ამოცურდეს, იყოს უკეთესი უკე-თესთა შორის, ეს ბრძოლა მიმდი-ნარეობს საზოგადოების თვალწინ, რომელსაც შეუძლია დააკვირდეს მებრძოლთა გულისწადილს, ხერ-ხებს და ხასიათებს. საზოგადოებას - მის დასახმარებლად გამოსეგებული აუარებელი საცნობარო გამოცემისა და ბიოგრაფიული ლექსიკონის წყა-ლობით, ყოველთვის აქვს შესაძლე-ბლობა მონახოს ისეთი მონაცემები,

რომელნიც საჭიროა იმ მოღვაწეთა ძალისა და მსოფლმხედველობის გა-სარკვევად, რომელნიც მოვლენათა მიმდინარეობის ძალით წინა რიგებ-ში არიან წამოწეული და გაივლის, თუ საით, რა მიზრეს და რა მიზნით შეიძლება ამ მოვლენებმა წარმარ-თოს საზოგადოება. თუმცა, ამგვარი გამოძიების გარეშე, იმ მოსაზრე-ბითაც კი, რომ დიდებისა და მეთაუ-რობისაკენ იმ ქვეყნებში „ტალღები მხოლოდ სულით ძლიერ გამოიტა-ნენ“ საზოგადოებას შეუძლია ნდო-ბით უკუროს თავის მომავალს“.

ნიკოლაძის აზრით ჩვენი საზო-გადოება სხვა მდგომარეობაშია, ისეთი შემთხვევა, რომ სახელმძღვანე-ლობას ვინმესთვის ხელისუფლებ-ა მოეპოვებინოს, ჩვენში თითქმის ჩამოსათვლელია (ბიძინა ივანიშვი-ლი ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლი-სია - ვ.შ.). უმრავლეს შემთხვევაში პირიქით ხდება: „ხელისუფლების ხანგრძლივი და სრული წარმატე-ბული ჭერა ჩვენში ქმნის სახელს (მაგ. სტალინი - ვ.შ.). უნდა შევნიშ-ნოთ, რომ ეს მდგომარეობა თითქმის უფრო სამიმოა ძალაუფლების მქო-ნეთათვის, ვიდრე თვით საზოგადოე-ბისათვის. ამ უკანასკნელს უმეტეს შემთხვევაში არა აქვს შესაძლე-ბლობა წინასწარ გაეცნოს თავის მნიშვნელოვან მოღვაწეთა ზნეო-ბრივ სახეს. ამიტომ ასპარეზზე გა-მონებისა საზოგადოება მათ ხვედ-ბა არა აუცილებელი თანაგრძნობით, არა მომწიფებული სიმპატიებით, არა თანამშრომლობის სურვილით, რაც დამყარებულია მათი ძალი-სა და მიზნების ნდობაზე, არამედ უბრალო ცნობისმოყვარეობით და გულგრილი სურვილით - შეხედოს ახალ ფიზიონომიას და ნახოს რო-გორ გაუძღვება იგი საქმეს. ამის შედეგად არაა საკვირველი, და სრულიად ბუნებრივიცაა, რომ ჩვე-ნი მოღვაწეების მცდელობისა და დროის სამი მეთოდები იხარჯება „ნიადაგის მომზადებაში“, საერთო ნდობის მოპოვებაში, თანამგრძნობ-თა წრის შექმნაში, პროგრამის შემუ-შავებაში“. ნიკო ნიკოლაძე კარგად დაკვირვებია ერთ მნიშვნელოვან მომენტს ქართულ რეალობაში, რომ თითოეულ ჩვენგანს არაფრად არ უღირს იწამოს ღირსება და უპირ-ატესობა რომელიმე მსახიობისა, მუსიკოსისა, მხატვრისა, მწერლისა, რადგან ასეთი ცნობით მას ჯერ კიდევ არ ვაძლევთ რაიმე უფლებ-ას პირადად ჩვენზე. ჩვენ უფრო გვეძიებდა ვინმე უპირატესობა და ზნეობრივი უფლება პოლიტიკუ-რი მოღვაწისა, რომელიც ჩვენს სა-კუთარ ნებას, ჩვენს ბედს მართავს, ან სურს უხელმძღვანელოს მას: „თითქოს ინსტიტუტად ვგრძნობთ, რომ თუ ასეთ მოღვაწეს პრესტიჟს (იმიჯს - ვ.შ.) შევუქმნით, ჩვენ მას ხელისუფლებას ვუმტკიცებთ, ან ამისკენ მივყავს, თუნდაც შორეულ მომავალში, აი, საფუძველი ყველას მიერ შემწეული მოვლენისა, რომ ადამიანებს, რომელთაც სურთ თავი-ანთ მსგავსთა მართვა, უფრო ძნე-ლად უხდებათ აუცილებელი პრეს-ტიჟის მოხვეჭა, ვიდრე სხვა ცოტად და ბევრადპლატონური „მომხიბვლე-ლობისა“ და „თაყვანისცემის“ მა-ძიებელს“. ნიკოლაძე აქვე დასძენს, რომ ჩვენს საზოგადოებაში „თაყვა-ნისცემა“ და „მომხიბვლელობაც“ რეალურად ბუნდოვანია იმიტომ, რომ საზოგადოებისთვის ნათელი არაა ხელისუფლების წარმომადგე-ნელთა დამსახურება, ხარისხი და ზნეობრივი შესაძლებლობანი, ამი-ტომ თვით ამ ხელისუფლებისისტე-რესებისთვისაც სასარგებლოა ის მოვლენა, რომ ჩვენს საზოგადოებაში ჩანს მისწრაფება შესაძლებლობის ფარგლებში, „ბუნდოვანი თაყვანის-ცემა და მომხიბვლელობა“ უფლე-ბამოსილ პიროვნებებზე შეიცვალოს უფრო ნათელი და გარკვეული წარ-მოღვენიო“.

ქალაქის მოსახლეობა უნდა იცოდეს რას აკეთებს ხელისუფლება ფოთის განვითარებისათვის  
ახლადარჩეული მერი გოჩა კურდღელია მედიის წარმომადგენლებს შეხვდა



საზოგადოებასთან ურთიერთობის ადგილას, ხელისუფლების საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფაში მედიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც დემოკრატიის მთავარ ინსტრუმენტს, სამწუხაროდ, ყოველთვის სათანადოდ ვერ აფასებენ ამ პრიორიტეტს და ამომორჩეველთან ურთიერთობის ეს საუკეთესო საშუალება არ არის სათანადოდ გამოყენებული.

ახლადარჩეული მერი გოჩა კურდღელია ეტყობა სხვაგვარად უყურებს ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს - მედიასთან ურთიერთობას და კარგად ესმის მისი როლი ქალაქის სა-

ზოგადოების ყველა ფენის გაერთიანების საქმეში, რამეთუ, მიუხედავად სოციალური პოლიტიკური თუ პარტიული სიჭრელისა და სიმრავლისა იგი ერთია თავისი პრობლემებით, სატკივართა და საწუხარით.

გოჩა კურდღელიამ მადლობა გადაუხადა ფოთელ ამომრჩეველებს ნდობისათვის, ასევე მასმედიის წარმომადგენლებს ამ კომპანიის ობიექტურად გაშუქებისათვის. მან მოკლედ ისაუბრა საბიუჯეტო პერიპეტებზე, იმ პრობლემებზე, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ქალაქის საზღვაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, კანალიზაციის ახალი სისტემის გაყვანა. ქუჩების კეთილმოწყობა, ახალი სასწავლო და კულტურულ-სპორტული ობიექტების მშენებლობა, მან ასევე ისაუბრა თვითმმართველობის

შემდგომი სრულყოფისთვის სტრუქტურულ და საკადრო ცვლილებებზე, თუმცა, აღნიშნა, რომ ყველას დამსახურება იქნება გათვალისწინებული, რამეთუ მთავარი ადამიანებია თავიანთი საჭიროებებითა და პრობლემებით.

უზრუნველყოფის დაინტერესდნენ ქალაქის ნავსადგურის საექვო ვითარებაში გაყიდვით, რასაც ხელი შეუწყო ადგილობრივმა ხელისუფლებამ და რაც უდიდესი დანაშაულია. რამდენად შესაძლებელია საზღვაო კარიბჭის აღდგენა, ახალი პორტის მშენებლობა, მათ შორის მუნიციპალური ნავსადგურის. ასევე ითქვა ანაკლიის პორტის ზეგავლენაზე. კონკურენციაზე, როგორც მერმა აღნიშნა „მაერსკი“ მსოფლიოში ცნობილი უძლიერესი კომპანიაა და მისი „დანიავრა“ არაა იოლი საქმე. მან ასევე აღნიშნა, რომ წინური კომპანიები გეგმავენ ახალი ტერმინალების, შემოვლითი გზების მშენებლობას. ანაკლიის პორტის მშენებლობაზეც ფოთის ნავსადგური იქნება მთავარი მიმწოდებელი,

დასაქმდება ათასობით ადამიანი.

როგორ უყურებს ჟურნალისტების კრიტიკას? - მერმა უპასუხა, რომ იგი აფხიზლებს და ხელს უწყობს ვითარების ობიექტურად შეფასებაში.

ჟურნალისტებთან შეხვედრებს ექნება სისტემური ხასიათი, რათა ისინი რაც შეიძლება მეტი ინფორმაციას ფლობდნენ ქალაქში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე. რაც უზრუნველყოფს მოქალაქეთა ჩართულობას და მონაწილეობას ახალი პროექტების განხორციელებაში.

თავის მხრივ ჟურნალისტებმა აღნიშნეს, რომ ახალ მერს ექნება მხარდაჭერა მუნიციპალიტეტის საქმიანობის ობიექტურად გაშუქებაში. ხელს შეუწყობენ ქალაქის საზოგადოების ერთი მიზნისთვის - ქალაქის კეთილდღეობისათვის გაერთიანებაში. თუმცა, იქნება საქმიანი კრიტიკა და არა უსაზნო ინტრიგა, როგორც ეს ხდება უმეტესად დღევანდელ მედიაში.

გამოვიდა ახალი ნიგნი

ქართულთა და აფხაზთა ურთიერთობისა და სიყვარულის აღგზნის მოლოდინით „კუნძული სოხუმი“



ქართულ პროზას კიდევ ერთი ახალი წიგნი შეემატა- „კუნძული სოხუმი“, რომელიც ეკუთვნის ჭაბუკი ქოიავას კალამს, იგი თხემით ტერფამდე გაუღვთილია იმ ტკივილითა და ნოსტალგიით, იმ სიყვარულითა და ისმდელობით, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია-საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხე, რომელსაც თვითონ აფხაზები და ოსებიც კი „საქართველოს თაიგულს“ ეძახდნენ. აფხაზეთი კოლხური მიწაა, ქართული ტრადიციებით და ზნე-ჩვეულებებით, თავისი სიწმინდებით, თავისი ლამაზი, თვალწარმტაც ბუნებით გამორჩეული, ასე რომ ხიბლავს მტერსა და მოყვარვს.

ის რაც აფხაზი და ქართველი კაცისთვის დამახასიათებელია, და კოლხებს ოლიტგანვე ძვალრიბილში აქვთ გამჯდარი-ეს დედის კულტია, რაც თვალსაჩინოდ გამოკვეთილია ნაწარმოებში. არცაა გასაკვირი კოლხი კაცისთვის, რომელსაც ბავშვობისა და სიჭაბუკის წლები ფოთსა და სოხუმს შუა გაუტარებია და რუსულ ჯარშიც უმსახურია, დედის მონატრება ასე აეწეროს: „შენ რწმუნდები, ამბობს ავტორი-ყველა ჯარისკაცისთვის მხოლოდ ერთი ადამიანი არსებობს ისეთი, რომელიც მუდამ და მოუთმენლად მოეღის მას, თუნდაც მთელი ცხოვრება სამხედრო სამსახურში გაატაროს და სწორედ ეს ადამიანი დედაა, მიწიერი ქალღმერთი, შეჩვეული ორწლიან ლოდინს, იგივე მონატრებით და დამისთვეებით.

წიგნში წინა პლანზეა წამოწეული ქართული პერსონაჟი სული, რაინდობით და თავგანწირვით გაჯერებული, რომელიც დღესაც შერჩენიან თანამედროვე კოლხებს: თავგანწირვა მამულისათვის და განსაცდელში მყოფი ადამიანებისათვის, რომელიც ავტორის აზრით არცერთ ერს არ შეუძლია. დიას, ასე რომ არ ყოფილიყო დავით მეფე დიდგორს ვერ მოიგებდა მცირერიცხოვანი ქართველებით და არც „ძღვეთი საკუთრველი“ ერქმეოდა მას. ჟიული შარტავას გმირობა და აფხაზეთის ომში დაღუპულ ვაჟკაცების გმირობაც კი მარა მაგალითისთვის. ნამდვილი ქართველისათვის უცხოა გულგრილობა „სხვისი ჭირის დობეს ჩხირის“ პოზიცია. განსაცდელში მყოფი კაცის ფეხებზე დაკიდება.

„სად არის სახანძრო, რატომ აგვიანებს, მიშველეთ, ყვიროდა რუსულად თეთრთმიანი დაბალი ტანის ქალი და ნერვიულად მიდი-მოდიოდა“.

აქ ელვის სისწრაფით იცვლება მოვლენები და დიალოგები, ავტორი კარგად ავლენს პარალელს მშობლიური ქალაქის ადამიანებსა და პიროვნებებს შორის. „ხედავ ზაზა... ასეთი რამ ჩემს ქალაქში-ფოთში რომ მოხდეს, დიდი და პატარა აწრიალდება, ერთმანეთს დაასწრებენ ხანძრის ნაქრობას აქ კიდევ დგანან და სეირს უყურებენ. აინტერესებთ რა მოხდება“. ზაზას რაინდული თავდადება ვიდაც უცხო ეროვნების ადამიანისათვის გამოკვეთილად აქვს აღწერილი ავტორს: ნაწარმოებში წინა პლანზეა წამოწეული მეგობრობა-ჭირსა და ღმერთს ერთად დგომა. ავტორი ძალზედ ლამაზად აღწერს სოხუმში გატარებულ სტუდენტურ წლებს, კილასურთან მდებარე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ერთად რომ გაუტარებიათ. იმ ლამაზ სიყვარულზეც საუბრობდნენ, უცებ რომ მოვარდება, წაგლეკავს და მაინც ლამაზია სოხუმში - მაგნოლიისა და კვიპაროსის ტოტებში ჩავლული. წიგნ-

ში უხვადაა მხატვრული სიტყვებით დახუნძლული საქართველოს პეიზაჟი ლამაზ სადღეგრძელოს რომ ეკადრება ისეთი:

ნაწარმოების სათაური „კუნძული სოხუმი“ იქნება ვინმეს უცნაურად მოეჩვენოს, სანამ მას წაიკითხავდეს. იგი არარსებული სოხუმი-სოხმარში ნანახი, იქნებ ოცნებაც ახალგაზრდა სტუდენტი ბიჭისა შეყვარებულთან ერთად რომ დასახლებულა.

ნაწარმოებს წითელი ზოლოვით გასდევს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოსალოდნელობა. 90-იან წლებში „ადამიანის პროვოცირებას რა უნდა, რამდენა ბოროტი ადამიანი“-დასძენს ავტორი-იგი ჩვენს ირგვლივ პირველი ტყვია თუ გავარდა მერე შეჩერება ძნელი იქნება, (თითქოს იწინასწარმეტყველა ავტორმა). ჩვენი ზღაპრული სოხუმი ცეცხლის აღში გაეხვევა, განადგურდება, განანადგურდება, არა, დემერტმა ნუ ქნას, აქ რა უნდა ომს, მაშინ ყველა დატოვებს სოხუმს, წავალთ ჩვენც, ჩვენი კურსელებიც დაიფანტებიან, ის ნადდი აფხაზები და ქართველებიც წავლენ, ვისაც საუკუნეებია ნათესაობა და მეგობრობა აკავშირებს, მაშინ სხუმი დატოვებულა და ქალაქი კი არ იქნება, არამედ კუნძული, უკაცრიელი კუნძული. სოხუმის დაცარიელებას ავტორი იმდენად არ დარდობს - მას უცხო ტომთა შემოსვლა და მათ მიერ აფხაზეთის დასაკუთრების ეშინია.

ნიჭიერმა მწერალმა ჭაბუკი ქოიავამ არაერთი ლექსი და მოთხრობა უძღვნა აფხაზეთის თემას. ის ხომ ჩვენი მარადიული ტკივილია, ჩვენი უსიამოვნო ტკივილი, სადაც მას სტუდენტობის საუკეთესო წლები გაუტარებია, „სოხუმში ისევე საფლავებს თხრიან“. „შვილმკვდარ ქალივით გაკვივის ჭოტი“.

წიგნში მრავლადაა ჯანსაღი იუმორი და მხატვრული სახეები, რომელიც ესოდენ დიდ ღაზათს მატებს ნაწარმოებს: „ზღვაზე ნახევარ კუნძულში შეჭრილი კაფე

„აბრა“ უღურჯესი კამკამა ზღვა, სადაც მუდმივად სრიალებენ კატერები, ბასკატები და ფრეგატები“, ან „გრძნობ, რომ გალაქტიკური დედოფნითი, ჩვენ რომ უბრალოდ პლანეტა მზეს ვეძახით, მართლაც მსოფლიოს პირველი და დიდი საოცრებაა, კარგად აცნობიერებს რომ, ჩვენს ირგვლივ მწვანედ აფეთქებულ გარემოს სიყვარული და მოყვრება სჭირდება, რადგან დემერტმა ნუ ქნას ნახშირორქანისა და ჟანგბადის გარეშე დარჩეს.

ახალი წიგნის გამოჩენა ლიტერატურაში თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია განსაკუთრებულ მოვლენასთან. ჭაბუკი ქოიავას ამ ნაწარმოებში აფხაზეთის თემაა წამოწეული. მწერლის მიერ დახატული ზღვის პეიზაჟებია, იქ არსებული რესტორანი „პახუსი“ დამშვენებული ქრიზანთემების ყვავილებით, ცისარტყელას ზეციურ შვიდფერს რომ მიესადაგება მაგიფური მიმზიდველობით, იმ ჯადოსნურ საგნებს გვანან, თვალს რომ გჭრიან და მთელი სიცოცხლის მანძილზე გიხმობენ. აფხაზეთი მწერლის ტკივილია, როცა სიმართლეს ძალმომრეობა აკანონებს.

„ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდგლო, ამორძალიხარ მკერდმოჭრილი უსაქართველოდ“... (შ.ნიშნინიძე)

ჩაგვესმის პოეტის ღაღადი ყურში. ნაწარმოებში არსებული სიუჟეტები ერთხელ კიდევ შეგვახსენებს აფხაზეთის-საქართველოს ამ ძირძველი კუთხის დაბრუნების აუცილებლობას, რაც მხოლოდ მშვიდობიანი დიალოგით მიიღწევა - ქართველი და აფხაზი ხალხის სიყვარული რომ უდევს საფუძვლად.

მამულისადმი ერთგულება, ერთად დგომა და სიყვარული გადგვარჩენს მხოლოდ.

ლ. ჩხეტიია

### 20 ნოემბერს ჩატარდა ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა



20 ნოემბერს, ფოთის მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართა.

კანონის მიხედვით საკრებულოს პირველი სხდომა საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გახსნა და 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა.

საკრებულოს ახალი თავმჯდომარის არჩევამდე სხდომას ახლადარჩეული საკრებულოს უხუცესი წევრი აკაკი დარჯანია უძღვებოდა. სხდომაზე საკრებულოს ახალი შემადგენლობის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ უმრავლესობის 17 წევრის წარდგინებით საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ირაკლი კაკულიას კანდიდატურა დასახელდა, რასაც ოპოზიციიდან სმაური მოჰყვა. ფარული კენჭისყრის შედეგად 18 ხმით საკრებულოს თავმჯდომარედ არჩეული იქნა ირაკლი კაკულია.

ახლადარჩეულმა საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი კაკულიამ მოადგილის თანამდებობაზე აკაკი დარჯანიას კანდიდატურა დაასახელა. საკრებულოს წევრებმა წარმოდგენილ კანდიდატურას მხარი დაუჭირეს და აკაკი დარჯანია არჩეული იქნა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ.

23 ნოემბერს 11 სთ-ზე გაგრძელდა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულია. სხდომის დღის წესრიგს საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით დაემატა ერთი საკითხი „ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“. საკრებულოს ფარული კენჭისყრით ხმათა უმრავლესობის გადაწყვეტილებით არჩეული იქნა საკრებულოს 5 მუდმივი კომისიის თავმჯდომარე: 1. იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ხვიჩა ცხვიტარია; 2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ - თორნიკე კირთაძე; 3. სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარედ - ბექა ვაჭა-

რაძე; 4. ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარედ - თორნიკე შონია; 5. სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ - ბაქარ ერაგია; საკრებულომ ახლადარჩეული კომისიების თავმჯდომარეების წარდგინებით მიიღო განკარგულება კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ. სხდომაზე მიღებულ იქნა 2 განკარგულება.

24 ნოემბერს ქ. ფოთის ახლადარჩეული საკრებულოს მეორე (რიგგარეშე) მოწვევის სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე აკაკი დარჯანია უძღვებოდა.

სხდომაზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული ორი საკითხი.

„ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“. ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიისთვის შენიშვნებით დაბრუნების თაობაზე.

საკრებულოს კომისიებმა განიხილეს მერის მიერ წარმოდგენილი ქალაქის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი და ბიუჯეტის მიმართ შენიშვნები ჩამოაყალიბეს კომისიის დასკვნაში, რომელიც დაერთო ბიუჯეტის პროექტს და დაუბრუნდა მერს ბიუჯეტის პროექტში გასათვალისწინებლად.

მათი რეკომენდაციები ძირითადად შეეხებოდა მარტოხელა დედაებისა და ხუთ და მეტ შვილიან ოჯახებზე სოციალური დახმარების გაორმაგებასა და სხვა საკითხებს.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მერიამ ქალაქის 2018 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს 10 დეკემბრამდე უნდა წარუდგინოს.

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი 15 მილიონ 680 ათას ლარს შეადგენს.


ბიუჯეტში შევიდა ცვლილებები ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერის დებულებაში: კერძოდ დადგენილებიდან ამოღებულ იქნა 45-ე მუხლი „მერიის სამსახურის რეორგანიზაცია“, ხოლო 44-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მერიის რეორგანიზაცია ხორციელდება „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილების შესაბამისად.

დადგენილებაში ცვლილებები გამოიწვია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებამ, რომელიც ამოქმედდა 2017 წლის 1 ივლისს.

სხდომაზე დამტკიცებულ იქნა 1 დადგენილება და 1 განკარგულება.

### გოგანი დარჩენე მსგავსნი მის ცხოვრებას ვერღირ უფალს მოგი ორიჯურის ხსოვნას

სულმნათი გოგი ოჩიაური 1970 წელს ასპირანტურაში სწავლისას გავიცანი და დავეშვენიერდი. მოსკოვში ვგვამავდი გამგზავრებას გარდაცვლილი მამის მეგობრის ოჯახის მოსახელვებლად, ობოლი დაძმის გამზრდელმა ბებომ ძველი საოჯახო ალბომი გადმომიღო და იმ ფოტოზე მიმანიშნა, რომელზეც მამამემთან ერთად ომის წლებში მოსკოვის უმაღლესი პარტიული სკოლის მსმენელები იყვნენ გამოსახული. ყურადღება გამოკეთილად ერთ სანდომიან პიროვნებაზე გაამახვილა და მითხრა - ეს ლევ ნიკოლოზის ძე ტოლკუნიოვა, მამამშენის უახლოესი მეგობარი, იქნებ მოინახულო მოსკოვში, გამოეცნაურ, უამბო ჩვენი დარჩენილი ოჯახის ყოფის, ავ-კარგის შესახებო. იგივე მირჩიეს მშობლების უახლოესმა მეგობრებმა, სულმნათმა დედობილმა ნინო უვანიამ, სულმნათმა მამობილმა ალიოშა მოწერელიამ და სხვებმაც. იმ ხანად ბატონი ლევ ნიკოლოზის ძე გაზეთ „იზვესტიის“ მთავარ რედაქტორად მუშაობდა და ბუნებრივია, დიდი გავლენა ჰქონდათ... მოსკოვში გამგზავრება შედგა, მგზავრობა პროფესორების ავთანდილ თელიას და კარლო გარდაფხაძის ოჯახებმა დამიფინანსეს. სულმნათი გოგი ოჩიაურის შემოქმედებით გადავწყვიტეთ საჩუქრად წამეღო ვერცხლით მოჭედილი ჯიხვის ლიტრიანი ყანწები. მასალა - ჯიხვის უნიკალური რქები და ბებიას ქორწილის მეჯვარის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას მიერ მორთმეული 12 ცალი ვერცხლის კოეზი თავად მივიტანე ახლაც ნათლად მახსოვს მზრუნველობითა და თანადგომით მზირალი მოქანდაკის გოგი ოჩიაურის ცრემლნარევი თვალები, როცა მითხრა ხელობის ხარჯს არ გამოგართ-



მეგ, რადგან ასპირანტის სტიპენდიითა და დედ-მამის დამსახურების პერსონალური პენსიით ცხოვრობთ დარჩენილი ოჯახით. ამასთან, გულით მთის წესებით დაგლოცავ, რათა როგორც შენს მშობლებს სურდათ, ისეთ მამულიშვილად ჩამოყალიბდე და უანგარო სიკეთით დაამახსოვრო და შეაყვარო ხალხს თავით.

ბატონ გოგი ოჩიაურის დალოცვა მართლაც შეისმინა მალემა ღმერთმა და ობოლი დამამა ამ უკიდევანო სამყაროში არ დაკვარულვართ. ჩვენც შევექმენით ოჯახები და დღენიადაც ვცდილობთ უანგარო სიყვარულზე ანალოგიური მზრუნველობით ვუპასუხოთ მოყვასთ... ღმერთმა შეგვაძლებინოს და ამით გავგახაროს. მართლაც და გოგის მსგავს ადამიანებზე იდგა საქართველო და ღირსეულად მოაღწია ჩვენამდე... ამინ!

*ულრმესი პატივისცემით, განსვენებულის უკვდავი და ვალმოხდილი სულის სამარადქამო ცხოვნების მავედრებელი, „ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის დოქტორი ნუგზარ ნადარია ოჯახით.*

### კოეზიის კუთხე

### ნათ თოდუა ცნობილი მეფუტყე და სხსახლო მოქმელი



ბართულვა

ვინც ან უნდა მდგმადთის საცმის ნუ გაუბთულებ, სინთულები მენ დაძლიე მას ჯი ან ატმნდმინდ, პატივდემას დას გაიღუმს კადრად იმყოფინდ, ეს თვისება წესად გდმნდეს სსუა და მ ამდგინდ.

აზბი

ამ თემამი უბნ მიუჯდრით, აზბი მდად გაიცდ, მენ შეფტამინს სიმპატიდმ, ასე გჯადა და გიცდ, უბნ დაძმეუბნ მემ მიუჯდრით, ეს სადად ამ იცდს.

ჩიუნ ჩიუნს აზბი უბნით მდას მუფიდმა ამ იცდს.

ეპდინიმი

ვითმ ცუელათუბი გინდა, დას ამ ეპდინიმი, საქუბდმეი უბნ ეტყუა, მენი ამიციეიმი! სისამმა!!! ანუის მისწმნს, ხალხი ტუდდ განმამტყაეს! სსუამ აძიდან და წაილდ და მენ ვინ დას გაატყანს...

დასმენა

ღამეღუმა, ჭიბამმა, სიფციის მიტან-მტყანა, სამქუბდმეი ადვილია მაგალითის მდყანა, ღამეღუმეუს უგატმნდმინდთ, თემის უტვინგულდმა, უტვინდმა მამ მდყეიმა დიდი უსიბუნდმა.

### მილოცვა

*საყვანთ ვანთ,  
სუფითთ და ვუფითთ ვიფითაჲ დასწაუბრისა  
80 წლის იუზიდას,  
ვიხურეზ ჭანმრთელთას და დიდი ხნის სიკაცხელთ  
თქვენს დასამე თქახთან ერთად.  
ვივზავნი ჩემს მიერ თქვენი ღიანსების თმტყენით  
დაწიფდელთისადაში მიძღვნილთ ღოქსს ვამერთში  
ვამხსაქვეჩნულთად, რომელიც 2001 წლის  
4 იანვრით თანმდღებს.  
ანგვიისკეში ადოქია დადობსა  
\*\*\*\*\**

ახლ ნელს და ათახნდელს ვანო, მუხვიდ მინიანსა და იხარე და იდღეგმდეღე მუნს ოჯახში გიგიანსა...

უბრუნდეს და გაქვს დიწხება, „თმუნს დიწხების“ გილოცავთ მაინც. მუნს დანახვახე ღექსი გვიწდება, და ხაღღეგმდეღე გეუთვნის მისც, 4.01.2001



სპორტი სპორტი სპორტი

რაბზში საქართველოს ნაკრებმა აშშ-ს ნაკრები 21:20 დაამარცხა



საქართველოს მორაბეობა ეროვნულმა ნაკრებმა ტესტ-მატჩში ამერიკის შეერთებულ შტატების ნაკრებს 21:20 მოუგო.

აღმდეგობა გაუწია და 13:6 დაამარცხდა.

ქუთაისის "ტორპედო" საქართველოს ჩემპიონი გახდა

ქუთაისის საფეხბურთო კლუბი "ტორპედო" უკვე მეოთხედ, საქართველოს ჩემპიონი გახდა.




საქართველოს ჩემპიონი! -2017-

ქუთაისის საფეხბურთო კლუბი "ტორპედო" უკვე მეოთხედ, საქართველოს ჩემპიონი გახდა.

სოსო ოჩიგავას ხსოვნას

„მინიხი, ხბილი ბომბეს მბახვიობა“



სული ღმერთს მიეპარა. პირნათელი მიეახლა, როგორც ვალმოსხილი კაცი ღვთისა და ერის წინაშე.

დამოუკიდებელი ხედვით, ნიჭით და ოსტატობით, ლტოლვა მარადიულის ტილოზე გადასატანად, გასაცოცხლებლად, ახალი ხასიათების შესაქმნელად, მიწიერისა და ზეციერის შერწყმისათვის.

ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ. მოგონებამ ფოტოში, ზღვისპირზე, ციტრუსების მეურნეობასთან ახლოს ერთ პატარა სახლთან მივხვდით.

მაღე გაირბინა ბავშობის წლებმა და ერთმანეთს მაღე დაგვიკავშირა მომავალი ცხოვრებისაკენ მიმავალ გზაზე ხელოვნებისკენ მიდრეკილებამ.

დაუფიქარი იყო მასთან გატარებული დრო-წლები, რომლებმაც ისე სწრაფად გაიბრინეს როგორც ნაბიჯით დაჭკვილმა ბედაურებმა და დაგვიტოვა წარსულის ანარეკლი, როგორც გაგრძელება სიცოცხლისა, რომელიც მართლაც კაცად ყოფნის სევედა ყოფილა.

ჯანო დანელია გომი გაბუა ზურაბ აბრალავა.

სპორტი სპორტი სპორტი

კანოე-კაიაკი

მიმდინარე წლის 2-4 ნოემბერს ახერბაიჯანის ქალაქ მინგეჩაურში გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრი პრეზიდენტ ალიევის თასზე.



გია გაბედავა - I ადგილი - C1 - 200 მ. მარლენ გაბედავა - I ადგილი - K1 - 500 მ.

თავისუფალი ჭილაობა

2017 წლის 4 ნოემბერს ქ. სამტრედიის ჩატარდა ტრადიციულად დადგენილი ირაკლი ჯოჯუას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი „თავისუფალი ჭილაობაში“

- I - ადგილი ბესო შენგელია - 29 კგ. II - ადგილი მალხაზ ხელია - 29 კგ. III - ადგილი ილის გოგატიშვილი - 32 კგ.

გაისსნა ჯემალ თოფურიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ფესტივალი



ფოთის ნანა ალექსანდრიას სახელობის საჭადრაკო სკოლაში, ჯემალ თოფურიას ხსოვნისადმი მიძღვნილი რიგით მე-8 საჭადრაკო ფესტივალი გაიხსნა.


ფესტივალის გახსნას ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ირაკლი თოფურია, აღმინისტრაციული სამსახურის უფროსი ინგა მასხულია და საკრებულოს წევრები ესწრებოდნენ.

ხსოვნა

ლუბა გორდულავა

წავიდა ამ ქვეყნიდან აფხაზეთის მკვიდრი, ლამაზად შვილებს გამზრდელი, დიდი ქალბატონი ლუბა გორდულავა.

შვილები ძალიან გვიან ხვდებიან. ლუბა გორდულავა სითბოს არავისთვის არ იშურებდა, ყველას ჭირისი და ღვიძლის გამოხიარებები იყო.



კაკო ჯაბაღია

მეუღლე ომარი ნიკოლაევა, შვილები: დათო, გია, ნანა ნიკოლაევი; შვილიშვილები: შოთიკო, ია, რუსიკო, ნია; რძლები: თეა, ინგა; ძმები: ბორისი, მიშა; დები: რაისა, ალა, გორდულავები; სიძეები: კაკო ჯაბაღია, თემური ხაინდრავა; ძმიშვილები, დიშვილები და მამულიშვილები და უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ლუბა შალვას ასული გორდულავა-ნიკოლაევა

პანაშვიდი 27,28,29 ნოემბერს. დაკრძალვა 30 ნოემბერს 15-სთ-ზე, მალთაყვის უბნის სასაფლაოზე. გამოსვენება ფოთი, გაგარინის ქუჩა №4.

კაკო ჯაბაღია ოჯახით ღრმა მწუხარებით უსამძიმრებს ომარი ნიკოლაევის მეუღლის ლუბა შალვას ასული გორდულავა-ნიკოლაევის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.